

**INSTITUT FÜR GEORGISCHES, DEUTSCHES UND
INTERNATIONALES STRAFRECHT**

Dr. BACHANA JISHKARIANI, LL.M. (München)

Assoziierter Professor

STRAFTAT UND STRAFE

EINE KURZE EINFÜHRUNG

TBILISI, 2018

The University of Georgia Press

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტი

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)

სამართლის დოქტორი (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის
სახელობის უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი

დანაშაული და სასჯელი

მოკლე შესავალი

თბილისი, 2018

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა



Institute of Georgian, German and
International Criminal Law
ქართული, გერმანული და საერთაშორისო
სისჯების სამართლის ინსტიტუტი

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, 2018

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

მ. კოსტავას №77ა
0171, თბილისი

ISBN 978-99940-50-67-3

წინათქმა

სისხლის სამართალი სამართლის ის დარგია, რომელიც საკმაოდ ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან მასში გათვალისწინებული სასჯელები ყველაზე მეტად იჭრება ადამიანის პირად თავისუფლებაში. აღნიშნული პატარა ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს სისხლის სამართალი და მასთან დაკავშირებული დანაშაულისა თუ სასჯელების ინსტიტუტები. ეს არის ერთგვარი შესავალი, რომელიც იძლევა ამ დარგის ძირითადი ასპექტების გააზრების შესაძლებლობას მოკლე მაგალითების საფუძველზე, სადაც მარტივი ენით საუბარია არა მხოლოდ ზოგად, არამედ პროცედურულ საკითხებზეც. ის განკუთვნილია როგორც სამართლის სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, ასევე დამწყები იურისტებისთვის. ნაშრომი მათ დაეხმარება დანაშაულისა და სასჯელის ცნებების გააზრებაში.

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (Munich)

სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ქართული, გერმანული და საერთაშორისო
სისხლის სამართლის ინსტიტუტის
ხელმძღვანელი
თბილისი, ივნისი, 2018

შინაარსი

1. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი	7
1.1. სისხლის სამართლის ამოცანები.....	7
1.2. სისხლის სამართლის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისგან.....	12
2. დანაშაულის ცნება და მისი გამოვლინების ფორმები	15
2.1. დანაშაულის აგებულება და მისი ელემენტები	15
2.2. ცალკეული დანაშაულების ზოგადი მიმოხილვა.....	20
3. სისხლის სამართლის პროცესი.....	31
3.1. მხარეები სისხლის სამართალში.....	31
3.2. სასამართლო	37
4. სასჯელი, როგორც რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე	41
4.1. სასჯელის მიზნები	41
4.2. სასჯელის სახეები	44
4.3. სასჯელის აღსრულება	46
5. შეჯამება	48

1. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი

1.1. სისხლის სამართლის ამოცანები

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ის დარგია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში. მასმედია და სოციალური ქსელებიც მას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ, ვინაიდან ის დაკავშირებულია დანაშაულებთან (მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და ა.შ.), რაც ბუნებრივია, რეზონანსს იწვევს და მეტ ყურადღებას იქცევს. ინდივიდის ცხოვრებაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ბევრად უფრო რელევანტურია, ვინაიდან თუნდაც ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, თხოვება და მსგავსი ურთიერთობები პირმა დღეში რამდენიმეჯერ შეიძლება დაამყაროს, მაგრამ ეს თემები, გარდა დიდი გარიგებებისა, რომლებშიც უზარმაზარ თანხებზეა საუბარი, სხვებისთვის ნაკლებად საინტერესოა. თუ იგივე პირი დანაშაულს ჩაიდენს, მაშინათვე გახდება ფართო განხილვის საგანი. სწორედ აქედან გამომდინარეობს სწავლების საწყის ეტაპზე, მაგალითად, სტუდენტებში სისხლის სამართალთან მიმართებაში დიდი ინტერესი, ვინაიდან ეს მათთვის თუნდაც ბევრ ცნობილ ფილმთან ასოცირდება.

სისხლის სამართალი, საჯარო და სამოქალაქო სამართალთან ერთად ქმნის, სამართლის სისტემას. ფართო გაგებით, ის საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილია, თუმცა, მან სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის განვითარების შედეგად განცალკევებული დარგის სახე მიიღო.¹

1 Heinrich, B., Strafrecht-Allgemeiner Teil, 3. Auflage, Stuttgart 2012, Rn. 1.

ქართულ სისხლის სამართალს განვითარების საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და ის ჯერ კიდევ ადრე-ფეოდალური ხანიდან, V-VI საუკუნეებიდან იწყება.² მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რუის-ურბნისის საეკლესიო დადგენილება, გიორგი ბრწყინვალის ეპოქის „ძეგლის დადება“ და ა.შ.³ დღევანდელი ქართული სისხლის სამართალი ეფუძნება 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც საერთაშორისო და ევროპული სამართლის პრინციპებს ეყრდნობა. ის ძალაში 2000 წელს შევიდა. მანამდე, საბჭოთა პერიოდში, საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა კოდექსები. ისინი კომუნისტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და ადამიანის უფლებებს ფორმალურად თუ ექცეოდა ყურადღება. მათი მთავარი მიზანი იყო არსებული იდეოლოგიის დაცვა.⁴

ზოგადად, სისხლის სამართლის უმთავრესი ფუნქციაა სამართლებრივი სიკეთის, იგივე სამართლებრივი ინტერესების დანაშაულებისგან დაცვა.⁵ ის თავისი მექანიზმებით, კერძოდ, სასჯელებით, სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას

2 ტყეშელიაძე, გ., სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, გ., თოდუა, ნ. (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, 13.

3 დანვრ. იხ. იქვე, 14 და შემდეგი.

4 დანვრ. იხ. ჯიშკარიანი, ბ., ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, 2013, 60, აბზ. 101 და შემდეგი.

5 ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამ., თბილისი, 2013, 16.

უზრუნველყოფს. სისხლის სამართლის გარეშე საზოგადოების წევრებს შორის მშვიდობის შენარჩუნება მათსავე კეთილგონიერებაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც საბოლოო ჯამში მაინც ქაოსამდე მიგვიყვანდა.⁶ სისხლის სამართლის მიზანი მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ დამნაშავე პირები დაისაჯონ და ამ გზით იქნას სამართლიანობა აღდგენილი, არამედ მასში არსებული სასჯელეზი წინასწარ ასრულებენ გარკვეულ დამაშინებულ ფუნქციას, რის გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი საერთოდ თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისგან.⁷ თუ პირმა სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა არ შეასრულა და დანაშაული მაინც ჩაიდინა, მაშინ მას სახელმწიფო აიძულებს თავის თავზე განიცადოს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გზით სასჯელის ზემოქმედება.⁸ ამასთანავე, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლის სამართალი არ არის ისეთი ყოვლისშემძლე საშუალება, რომლითაც შესაძლებელია დანაშაულების სრულად აღმოფხვრა და იდეალური წესრიგის შენარჩუნება, თუმცა, ის მეტნაკლებად უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით სტაბილურობას.⁹

6 Stree/Kinzig, კომენტარებში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, Vorbemerkungen zu den §§ 38ff., Rn. 1.

7 Stree/Kinzig, კომენტარებში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, Vorbemerkungen zu den §§ 38ff., Rn. 1.

8 ნაჭყეია, გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 9 და შემდეგი.

9 გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბილისი, 2013, 7.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართალი დაკავშირებულია დანაშაულისა და სასჯელის ცნებებთან. დანაშაულს ჩვენ სამართლის სხვა ვერცერთ დარგში ვერ შევხვდებით. დანაშაულია მხოლოდ ის, რაც სისხლის სამართლის ნორმის დარღვევაში გამოიხატება. საინტერესოა თვითონ ტერმინ „სისხლის სამართლის“ წარმოშობა. ის დაკავშირებულია ადრე გავრცელებულ სისხლის აღებასთან.¹⁰ მოგვიანებით ტერმინმა „სისხლი“ თავისი მნიშვნელობა შეიცვალა და ის დანაშაულისთვის ქონებრივი საზღაურის სანაცვლოდ გვევლინება („სისხლის გადასახდელი“).¹¹ გამოდის, რომ სისხლის სამართალი იგივე სასჯელის სამართალია და ის განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დავსაჯოთ დამნაშავე.¹²

დავუბრუნდეთ სისხლის სამართლის ძირითად ამოცანას, სამართლებრივი სიკეთის დაცვას. ორი სახის სამართლებრივი სიკეთეები შეგვიძლია გამოვყოთ: ინდივიდუალური, როგორცაა მაგ. სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, სქესობრივი თავისუფლება და საყოველთაო, მაგ. ფულის მიმოქცევა, მართლმსაჯულება. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი ჯგუფის სიკეთეები ცალკეულ ინდივიდებს ეკუთვნის, ხოლო მეორე ჯგუფის კი საერთოა.¹³ სწორედ ამ სიკე-

10 ნაჭყებია, გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 10.

11 გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბილისი, 2013, 11.

12 იქვე, 11.

13 Kasiske, P., Strafrecht I: Grundlagen und allgemeiner Teil, Stuttgart, 2011, Rn. 6.

თეების ხელყოფისგან დაცვის მიზნებს ემსახურება სისხლის სამართალი. დაცვის ამ ფუნქციას მეორენაირად საგარანტიო ფუნქციასაც უწოდებენ.¹⁴

ამ საგარანტიო ფუნქციის ეფექტურად განსახორციელებლად სისხლის სამართალი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: მატერიალური სისხლის სამართალი და საპროცესო სისხლის სამართალი. მატერიალური სისხლის სამართალი (სისხლის სამართლის კოდექსი) ადგენს, თუ რა ქმედება ითვლება დანაშაულად და რა სასჯელები უნდა იქნას გამოყენებული, ხოლო პროცედურულ საკითხებს (გამოძიების წესი, სასამართლოში განხილვის წესი და ა.შ.) ადგენს სისხლის სამართლის პროცესი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი).¹⁵

წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითი: სუფრაზე განაწყენებულმა გიორგიმ ჩანგალი დაარტყა ნიკოლოზს და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა. როგორ შევაფასოთ გიორგის ქმედება? თუ რომელ დანაშაულს განეკუთვნება ეს საქციელი, მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლში – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ხოლო, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საქმის გამოძიება, რა მტკიცებულებების მოპოვებაა საჭირო და ასე შემდეგ, ეს წესები მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში.¹⁶

14 იქვე, Rn. 4.

15 დანვრ. იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014, 36.

16 შეად. ლალიაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2015, 32 და შემდეგი.

1.2. სისხლის სამართლის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისგან

სისხლის სამართალი, მართალია, სამართლებრივი სიკეთეების დაცვას ემსახურება, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი დავის ან დარღვევის არსებობისას სახელმწიფო მაშინათვე მას გამოიყენებს. სისხლის სამართალი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოიყენება, ვინაიდან ის სახელმწიფოს ხელში ყველაზე მკაცრი მექანიზმია და სასჯელის სახით თავისუფლების მრავალწლიან ან უვადო აღკვეთასაც კი ითვალისწინებს. დაუშვებელია, რომ სახელმწიფომ ნებისმიერ წვრილმან დარღვევასთან მიმართებაში სამართლის ეს დარგი გამოიყენოს. ეს კონსტიტუციით გარანტირებულ თანაზომიერების პრინციპთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში.¹⁷ ერთ მხარეს გვექნებოდა უმნიშვნელო დარღვევა, მეორე მხარეს კი ძალიან მკაცრი სასჯელი. განვიხილოთ სხვადასხვა მაგალითის საფუძველზე სისხლის სამართლის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისგან.

მაგალითი 1: ნინომ თბილისის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში შეიძინა ძვირადღირებული სმარტფონი. სახლში მისულმა კი აღმოაჩინა, რომ მას ტექნიკური წუნი ჰქონია და ხმა კარგად არ ისმოდა. ნინო მიბრუნდა მაღაზიაში და გამყიდველს ტელეფონის შეცვლა მოსთხოვა, მან კი უარი განუცხადა, ამ დეფექტის შესახებ მე არაფერი ვიცოდით.

¹⁷ Hamm, R., Richten mit und über Strafrecht, NJW 2016, 1537.

ეს მაგალითი წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ კლასიკურ ნიმუშს. საკუთარი უფლებების დასაცავად ნინოს შეუძლია მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო წესით, რომელიც მაღაზიას დაავალდებულებს ნივთი შეაკეთოს ან შეცვალოს. სისხლის სამართალი აქ არაფერ შუაშია, ვინაიდან ეს არ არის ისეთი დარღვევა, რომ გამყიდველი დამნაშავედ გამოვაცხადოთ. თუ გაირკვეოდა, რომ გამყიდველმა ეს სპეციალურად გააკეთა და კლიენტებს სულ ასე ატყუებდა, მაშინ გამოდის, რომ განზრახ მოქმედებდა და ეს უკვე დანაშაულია.

მაგალითი 2: ვანომ მეგობრის დაბადების დღეზე რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია, შემდეგ კი ნასვამი სახლში მანქანით დაბრუნდა, რა დროსაც ის გზაში საპატრულო პოლიციამ გააჩერა და ალკოტესტზე შეამოწმა. რა სახის დარღვევა ჩაიდინა ვანომ?

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა განეკუთვნება ადმინისტრაციულსამართლებრივ დარღვევებს. მართალია, ნასვამზე მანქანის ტარება, ზოგადად, სახიფათოა, თუმცა, ესეც არ არის ისეთი განსაკუთრებული სიმძიმის დარღვევა, რომ სისხლის სამართლებრივად დაგვესაჯა. ცალკე აღებული, მანქანის წესების დარღვევით ტარება არაა დანაშაული, ეს მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომაა და სანქციებიც ადმინისტრაციული სამართლიდან იქნება (ჯარიმა, მართვის მოწმობის ჩამორთ-

მევა და სხვა). იგივე წესი ვრცელდება საგზაო მოძრაობის წესების სხვა დარღვევებზეც (სიჩქარის გადაჭარბება, ღერძულა ხაზის გადაკვეთა და სხვა.). თუ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას ავარია და ვინმეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან გარდაცვალება მოჰყვება, ეს უკვე დანაშაულად შეფასდება, ვინაიდან მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეა დაზიანებული.

მაგალითი 3: დათომ ლუკას 500 ლარი ასესხა. ლუკამ ეს ფული ვეღარ დაუბრუნა. ამაზე გაბრაზებულმა დათომ ის ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით სიცოცხლეს გამოასალმა. როგორ შეფასდება ეს შემთხვევა?

პირველი ეპიზოდი, ფულის არდაბრუნება ლუკას მიერ, არ არის დანაშაული. დათოს შეეძლო სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო წესით დაებრუნებინა თანხა (მაგ. გაეყიდვინებინა რაიმე ქონება), ვინაიდან სესხება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობაა, მისი პირობების შეუსრულებლობას სამოქალაქოსამართლებრივი რეაქცია უნდა მოჰყვეს. დათომ კი შურისძიების ნიადაგზე ლუკა მოკლა. ეს უკვე დანაშაულია და დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. როგორც ვხედავთ, აღნიშნული შემთხვევა სამართლის ორ დარგს შეეხება – კერძო სამართალს და სისხლის სამართალს.

2. დანაშაულის ცნება და მისი გამოვლინების ფორმები

2.1. დანაშაულის აგებულება და მისი ელემენტები

დანაშაულის ცნების განმარტებას ჩვენ გვაძლევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი გვეუბნება: დანაშაული, ეს არის ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლის სხვა ვერცერთ დარგში ტერმინ დანაშაულს ჩვენ ვერ შევხვდებით. ის მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართალთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი დარღვევა, რომელიც არ არის ზემოთნახსენებ კოდექსში მოცემული, არ ჩაითვლება დანაშაულად. შეიძლება, მაგალითად, მეუღლის ან მეგობრის ღალატი ძალიან ცუდი საქციელი იყოს და ვილაცისტისთვის ყველაზე მძიმე დარღვევას წარმოადგენდეს, მაგრამ მსგავსი ქმედებები სამართლის მიღმა წესრიგდება და სისხლის სამართალში კი არა, სხვა დარგებშიც არ ექცევა, ვინაიდან ეს უფრო მორალური საკითხებია და სამართალი მასში არ ერევა. სახელმწიფოს ფუნქცია არ მდგომარეობს მორალური საკითხების მონესრიგებაში. მართალია, კოდექსში ჩამოთვლილი დანაშაულები მეტწილად ამავედროულად ამორალური ქმედებებია, მაგრამ ისინი დანაშაულად იმის გამო არ გამოუცხადებიათ, რომ ამორალურია.

ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

ვასო ყაჩაღურად თავს დაესხა გიორგის ოჯახს და ყველა ძვირფასი ნივთი წამოიღო. ის ამითაც არ დაკმაყოფილდა და გიორგის არასრულწლოვან ქალიშვილზე იძალადა, მერე კი მეუღლეს ცემა. გიორგიმ ბოლო წამს ვასო ამოიცნო. რამდენიმე დღეში მან ის მოძებნა და იმდენად გამწარებული იყო, რომ შურისძიების ნიადაგზე დანით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ვასოს საქციელი შეიძლება გამართლებულად და ვაჟკაცურად ჩაითვალოს, ვინაიდან გიორგი მის ოჯახს არაადამიანურად მოექცა, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, ის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის მაინც დაისჯება. კანონს ამ შემთხვევაში არ აინტერესებს ზოგადი მორალური საკითხები, მისთვის მთავარია, რომ არ წარმოიშვას ანარქია და ყველამ თვითონ საკუთარი წესებით არ დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა. გიორგის დასჯა მხოლოდ კანონიერი მეთოდებით იყო დასაშვები.

დავუბრუნდეთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ელემენტებს. ესენია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.¹⁸ რას ნიშნავს ყოველივე ეს? პირი როდესაც ახორციელებს რამე

18 Eisele, კომენტარებში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, Vorbemerkungen zu den §§ 13 ff., Rn. 12.

დარღვევას, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, ხომ არ არის ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მან რომელიღაც დანაშაულის ქმედების შემადგენლობა განახორციელა. მაგალითად, ნუცამ თავის ნაცნობს ამოაცალა მობილური ტელეფონი და ვალეზის გამო გაყიდა. ნუცამ განახორციელა ქურდობის ქმედების შემადგენლობა (მუხლი 177). თუ ნუცამ ეს ტელეფონი ნაცნობს მხოლოდ ორიოდ ნუთით, სხვასთან დასარეკად ამოაცალა და ისევ მიუბრუნა, მას არ ჩაეთვლება ეს დანაშაულად, ვინაიდან მსგავსი დროებითი სარგებლობა არ გვაძლევს ქურდობის შემადგენლობას. ქურდობის დროს პირს სხვისი ნივთის მისაკუთრება უნდა ჰქონდეს გამიზნული და არა დროებითი სარგებლობა. ნუცას მხოლოდ დანახარჯის ანაზღაურება მოუწევდა სამოქალაქოსამართლებრივი წესით, თუ ამას მისგან ტელეფონის პატრონი მოითხოვდა.

ქმედების შემადგენლობის გარდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვანია მართლწინააღმდეგობის საკითხის გარკვევა. მართლწინააღმდეგობის ელემენტზე მსჯელობისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: პირის მიერ განხორციელებული ქმედების შემადგენლობა ხომ არ იყო რამე საფუძვლით გამართლებული?¹⁹ გამართლების საფუძვლები მეტწილად სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული, თუმცა, ასევე არსებობს დაუწერელი მართლწინააღმ-

19 Rengier, R., Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2014, Kapitel 4, Rn. 1.

დეგობის გამომრიცხავი გარემოებებიც.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებებიდან მაგალითის სახით შეგვიძლია დავასახელოთ აუცილებელი მოგერიება (სსკ მუხ. 28), რომლის ყველა წინაპირობის დაცვის შემთხვევაში ქმედება არ დაისჯება:

განგსტერი მოკვლის განზრახვით თავს დაესხა ცნობილ ბიზნესმენს და რამდენიმეჯერ ესროლა. ბიზნესმენმა მას საპასუხოდ საკუთარი იარაღიდან ესროლა და სიცოცხლეს გამოასალმა, თვითონ კი სიკვდილს გადაურჩა. დაისჯება თუ არა ბიზნესმენი მკვლელობისთვის?

ბიზნესმენმა განახორციელა განზრახ მკვლელობის, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის, შემადგენლობა, მაგრამ ეს მაინც არ ჩაითვლება დანაშაულად, ვინაიდან ის მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. ხოლო, განგსტერის მეორე დღეს მოკვლის შემთხვევაში, ბიზნესმენი დაისჯებოდა, რადგან მოგერიება უნდა იყოს იმნუთიერი.²⁰

დანაშაულის მესამე ელემენტია ბრალი. ბრალის გამომრიცხავი და შემამსუბუქებელი გარემოებები სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე თავშია მოცემული. არსებობს ასევე დაუნერეელი ბრალის გამომრიცხავი გარემოებებიც. იმისათვის, რომ პირს მის მიერ განხორციელებული ქმედება ბრალეუ-

20 დანვრ. იხ. ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამ., თბილისი, 2013, 174.

ლად შევრაცხოთ, აუცილებელია იმის გარკვევა, შეეძლო თუ არა საკუთარი ქმედების გაანალიზება. ბრალი იგივე გაკიცხვაა, საყვედური ჩადენილი ქმედების გამო.²¹ ამიტომაც არის, რომ ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხადი პირები არ ითვლებიან ბრალუნარიანად და სისხლისსამართლებრივად პასუხისგებაში ვერ მიეცემიან (სსკ მუხ. 34). იგივე წესი ვრცელდება 14 წლამდე ასაკის პირებზეც. ამ ასაკამდე პირის ინტელექტი და ნება ჯერ კიდევ არ არის ისე განვითარებული, მომწიფებული, რომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს.²² ჩვენ ამ კატეგორიის ადამიანებს ვერ დავსჯიდით იმისათვის, რისი შეგნებაც და გაცნობიერებაც მათ არ შეუძლიათ.

ასაკისა და შეურაცხადობის გარდა ბრალის გამორიცხვის საფუძველს ზოგჯერ პირის მიერ დაშვებული შეცდომაც ქმნის. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში:

გიორგი გაეხუმრა თავის მეგობარს და სალამოს, გვიან, სადარბაზოსთან სახეზე ნიღაბგაკეთებული დანით ხელში დახვდა – მომეცი საფულე, თორემ დაგჭრიო. მეგობარს ის ნამდვილი ყაჩაღი ეგონა და მან მოგერიების მიზნით „თავდამსხმელს“ სახეში მუშტი დაარტყა. მის ადგილას სხვაც იგივეს იფიქრებდა. გიორგიმ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო. დაისჯება თუ არა გიორგის მეგობარი?

21 გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013, 45.

22 იქვე, 322.

მეგობარმა დაუშვა მისატყვევებელი შეცდო-
მა, რადგან მის ადგილას სხვაც იფიქრებდა, რომ
გიორგი ნამდვილი ყაჩაღია. მსგავსი შეცდომები
სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლიდან
გამომდინარე ბრალის გამორიცხვის საფუძველია.
მეგობარი არ დაისჯება.

2.2. ცალკეული დანაშაულების ზოგადი მიმოხილვა

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სისხლის სამართლის მა-
ტერიალურ და საპროცესო ნაწილებად დაყოფაზე.
ახლა შედარებით დეტალურად შევხებით მატე-
რიალურ სისხლის სამართალში გათვალისწინებულ
სხვადასხვა დანაშაულებს. ეს დანაშაულები იწყება
სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლიდან
(ე.წ. კერძო ნაწილი). მანამდე არსებული მუხლები
მხოლოდ ზოგად საკითხებს ეხება (ბრალის ცნე-
ბა, განზრახვა და მისი სახეები და ა.შ) და მათში
კონკრეტულ დარღვევებს ვერ შევხვდებით (ე.წ.
ზოგადი ნაწილი).²³

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ადამიანის
წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით იწყე-
ბა და პირველივე მუხლი დასაწყისში, მუხლი 108,
განზრახ მკვლელობას ეხება. ეს განსაკუთრებით
მძიმე დანაშაულია და სასჯელის სახით 15 წლამდე
თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ადა-

²³ შეად. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., სისხლის სამართ-
ლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი 2016, 15.

მიანის სიცოცხლე ერთ-ერთი ყველაზე ღირებული სამართლებრივი სიკეთეა, ამიტომ კანონმდებელი მის ხელყოფას მკაცრად უდგება. სახელმწიფო ვალდებულია, სიცოცხლის დაცვაზე ეფექტურად იზრუნოს და მისი დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოახდინოს.²⁴

მკვლელობაში იგულისხმება სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა და არა თვითმკვლელობა. თვითმკვლელობა საერთოდ არ არის დასჯადი, რომც გადარჩეს პირი. თვითდაზიანებისთვის ადამიანის დასჯა მის თავისუფლებაში ზედმეტი ჩარევა იქნებოდა. სისხლისამართლებრივად ადამიანად ითვლება პირი გარდაცვალებამდე, ანუ თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტამდე.²⁵ სუნთქვის შეწყვეტა და გულის გაჩერება ადამიანის სიკვდილის აბსოლუტურ მტკიცებულებას არ წარმოადგენს; ეს მხოლოდ კლინიკური სიკვდილია.²⁶

ლოგიკურია, მიცვალებულის მიმართ მკვლელობა ვერ განხორციელდება. გაბრაზებულა პირმა მიცვალებული რომც დაანანევროს, ბუნებრივია, ქმედებას მკვლელობად ვერ შევაფასებთ, მაგრამ ის მაინც დაისჯება, ოღონდ სხვა მუხლით (მუხ. 258) მიცვალებულისადმი უპატივცემლობისთვის. რაც შეეხება ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდს,

24 Eschelbach, კომენტარებში: v. Heintschel-Heinegg (Hrsg.), BeckOK StGB, 36. Edition (Stand: 01.11.2017).

25 ჯიშკარიანი, ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 24, აბზ. 18.

26 ლეკვეიშვილი, მ., თოდუა, ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი 2016, 37.

ისიც არ ითვლება ადამიანად. ნაყოფი ადამიანად ჩაითვლება სამშობიარო პროცესის დაწყების მომენტიდან, როდესაც დედას დაეწყება სამშობიარო ტკივილები, შესაბამისად მკვლევლობის მუხლებს ვერ გამოვიყენებთ.²⁷ ამისთვის ცალკე რეგულირება არსებობს უკანონო აბორტებთან მიმართებაში, თუ მისი წინაპირობები არ არის დაცული.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი, შეიძლება ითქვას, სტანდარტულ მკვლევლობებს ეხება. ის არ შეიცავს არც დამამძიმებელ და არც შემამსუბუქებელ გარემოებებს. ხშირად ეს ხდება პირადი შურისძიების, ეჭვიანობის, ჩხუბის ნიადაგზე.²⁸ რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლევლობებს, ისინი უფრო ნაკლებ სასჯელს იმსახურებს. მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

ვასო ნასვამი იყო და სრულიად უმიზეზოდ შეეკამათა თავის მეზობელ ვანოს, რა დროსაც მას ყველას გასაგონად მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ, ოჯახზე შეაგინა, თან ეს გაიმეორა რამდენიმეჯერ. ვანო წამიერად ძლიერ აღელდა, თავი ვერ შეიკავა და ვასოს მთელი ძალით ჯიბის დანა დაარტყა. ვასო გარდაიცვალა.

27 ჯიშკარიანი, ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 21, აბზ. 6; ლეკვეიშვილი, მ., თოდუა, ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი 2016, 37.

28 ლეკვეიშვილი, მ., თოდუა, ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი 2016, 43.

სისხლის სამართალში ასეთი მკვლელობა აფექტად ფასდება (თუ ექსპერტი ამას დაადასტურებს) და მკვლელს, მართალია, მაინც დასჯიან, მაგრამ შედარებით მსუბუქი, 111-ე მუხლით. ეს განპირობებულია იმით, რომ აფექტში ჩავარდნა თვითონ მსხვერპლმა გამოიწვია თავისი ქმედებით. ასევე, აფექტის დროს პირი თავის თავს სრულად ვერ აკონტროლებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება სისხლისსამართლებრივად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ის მხოლოდ დასჯადობის შემსუბუქებას იწვევს.

მსგავსი შემამსუბუქებელი გარემოებაა მსხვერპლის თხოვნის საფუძველზე მკვლელობის ჩადენა (მუხ. 110). ამის გავრცელებული მაგალითია ევთანაზიის შემთხვევები, როდესაც გარდაცვლილი უკურნებელი სენით არის დაავადებული, იტანჯება და თავის ახლობელ ადამიანს სთხოვს, ვენაში შეუყვანოს მომაკვდინებელი წამალი. კანონმდებელი ითვალისწინებს მსხვერპლის თხოვნას და ბრალდებულს სასჯელს უმსუბუქებს. მთლიანად პასუხისმგებლობისგან ვერც ამ შემთხვევაში გათავისუფლდება ქმედების ჩამდენი პირი, ვინაიდან ამ ფორმით ევთანაზია საქართველოში არ არის ლეგალიზებული.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულია მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებებიც, რაც მეტ სასჯელს იმსახურებს. ეს გარემოებები თავმოყრილია 109-ე მუხლში – წინასწარი

შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მკვლელობა, ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობა, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა და ა.შ.

გიორგი კლუბში თავის შეყვარებულთან ერთად ცეკვავდა, რა დროსაც მას შემთხვევით მხარი გაჰკრა იქვე მოცეკვავე ვანომ. გიორგიმ ამის გამო თავი ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო და შეყვარებულის თვალინინ უნდოდა, რომ მაგარ ბიჭად გამოჩენილიყო. ამიტომ, მცირედი შელაპარაკების-თანავე ვანოს დანა დაარტყა. ვანო გარდაიცვალა.

ასეთი უმნიშვნელო საბაბით ჩადენილი დანაშაული ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობად დაკვალიფიცირდება და 109-ე მუხლით დაისჯება. გიორგის საქციელში ჩანს, რომ მას სხვა ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირს და ფაქტიურად წვრილმანის გამო შეუძლია ის განიროს. ასეთი დამოკიდებულება კი სისხლისსამართლებრივად უფრო მკაცრად ისჯება. იგივე ითქმის განსაკუთრებულ სისასტიკეზე, როდესაც მსხვერპლს სიცოცხლეს წამებით მოუსწრაფებენ.

სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ განზრახ დანაშაულებს არ მოიცავს. ის გაუფრთხილებლობასაც უთმობს სათანადო ადგილს. მაგალითად, 116-ე მუხლი ეხება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას. აქამდე ნახსენები სხვა დანაშაულებისგან ეს იმით განსხვავდება, რომ დამნაშავეს

არ სურდა ვინმეს სიკვდილი, თუმცა, საფრთხეები სწორად ვერ გათვალა და მისი წინდაუხედაობის გამო ამას მეორე პირი ემსხვერპლა (მაგ. თოფი გაუვარდა). ვინაიდან საუბარია სიცოცხლეზე, მსგავსი შემთხვევები დაუსჯელი ვერ დარჩება, თუმცა, სასჯელი განზრახ მკვლელობასთან შედარებით ბევრად ნაკლები იქნება.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, გარდა სიცოცხლის ხელყოფისა, სხვა დანაშაულებსაც აერთიანებს, იქნება ეს ჯანმრთელობის, სქესობრივი ხელშეუხებლობის, თავისუფლების თუ პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. თითოეულ მათგანს ჩვენ დეტალურად ვერ შევხებით, მაგრამ შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

დავინყოთ ჯანმრთელობის დაზიანებით, რომელიც სამ სახედ იყოფა: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება. დაზიანების ხარისხი დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტის მიერ. ამ დროს ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად სახიფათო ან რა ადგილებში იყო მიყენებული ჭრილობა. გულმკერდის არეში ვინმეს დაჭრა დიდი ალბათობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად დაკვალიფიცირდება, ვინაიდან ეს საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. იგივეს ვერ ვიტყვით, დავუშვათ, ფეხში დაჭრაზე, თუ ეს მხოლოდ მოკლევადიან მკურნალობას საჭიროებს და რამე მძიმე შედეგი არ გამოუწვევია.

ჩვენი კანონმდებლობით პირის სისხლისსამართ-

ლებრივ პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისია თუნდაც სხვისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება, ანუ ცემა. პასუხისმგებლობისთვის გარდა ტკივილისა, სხვა არანაირი შედეგის დადგომა არ არის საჭირო. როდესაც ორი პირი კამათობს და ერთი მეორეს რამდენიმეჯერ დაარტყამს, ეს მაინც დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ ნაცემ პირს კონკრეტულად არაფერი დაზიანებია (სსკ მუხ. 126, ნან. 1).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის, ასევე, სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც, პირადად ვინმესთვის საკუთარი მოქმედებით ზიანის მიყენება. ამისათვის საკმარისია სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის შესაძლო დაზიანების გაუწევლობა (მუ. 129). განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ნინო დილით სამსახურში მიდიოდა, რა დროსაც გზის პირას დაინახა დაჭრილი, მისთვის სრულიად უცხო ადამიანი. ის სისხლისგან იცლებოდა. ნინოს დაეზარა მასთან მისვლა, სამსახურშიც დამაგვიანდება და თან მე რა მესაქმება უცხო ადამიანთანო. დაისჯება თუ არა ნინო?

რა თქმა უნდა, ის დაისჯება. მას შეეძლო გასაჭირში მყოფი ადამიანის დახმარება (თუნდაც სასწრაფოსთვის დარეკვა), რაც არ გააკეთა. თავისი უმოქმედობით მან სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გა-

ნახორციელა, რაც ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. უმოქმედობის დასჯადობა იმით არის განპირობებული, რომ სამართალი შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეულ ურთიერთ-სოლიდარობას გვავალდებულებს და ამასთანავე ადამიანის სიცოცხლის დაცვა მნიშვნელოვანია.²⁹ არც ის უნდა დაგვაზინყდეს, რომ სამართალი არავისგან გმირობას არ მოითხოვს. თუ ვინმე მდინარეში იხრჩობა და გამვლელმა ცურვა არ იცის, ის არ არის ვალდებული მდინარეში ჩახტეს, მაგრამ სხვისთვის დაძახება ან სამაშველო სამსახურისთვის დარეკვა მას მაინც მოეთხოვება.³⁰

საზოგადოებაში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია ოჯახური ძალადობის საკითხები, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, იქნება ეს ოჯახის წევრების შეურაცხყოფა, დამცირება, მათზე ფიზიკური ძალადობა თუ სხვა.³¹ მსგავსი ქმედებები, ბუნებრივია სისხლის სამართლის მიღმა ვერ დარჩება და ამიტომაც 126¹ მუხლით ის ისჯება, როგორც დანაშაული.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სქესობრივ დანაშაულებსაც, რომლებიც მოკლე მაგალითების სახით შეგვიძლია განვიხილოთ:

29 შეად. Sternberg-Lieben/Hecker, კომენტარებში: Schönke/Schröder (Hrsg.), Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, § 323c Rn. 1.

30 ჯიშკარიანი, ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 132, აზ. 441 და შემდეგი.

31 დანვრ. იხ. <<http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>> (ნანახია 18.1.2018).

გიორგი სალამოს სახლში მიმავალ თეკლეს ჩაუსაფრდა, ვინაიდან ის დიდი ხანია მოსწონდა. ახლოს მისულმა მას სქესობრივი კავშირი შესთავაზა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. გაბრაზებულმა გიორგიმ თეკლეს დანა მოუღერა და შეშინებულ მსხვერპლთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

ეს ქმედება არის გაუპატიურების სტანდარტული მაგალითი და ის გამოიწვევს 137-ე მუხლით დასჯადობას. გაუპატიურების დროს სწორედ იძულებასთან, მუქარასთან ან დაზარალებული უმწეობასთან გვაქვს საქმე. მსხვერპლი შიშის გამო რომც დათანხმდეს სქესობრივ კავშირს, ეს მაინც დანაშაულია.

გიორგის და თეკლეს ერთმანეთი მოსწონდათ. გიორგი მას ცოლად მოყვანას დაპირდა, რის გამოც თეკლე სქესობრივ კავშირზე დათანხმდა. გიორგიმ დანაპირები არ შეასრულა. ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული?

გიორგის საერთოდ ვერაფრისთვის ვერ დავსჯით. მას არ უძალადია მის პარტნიორზე. უბრალოდ სიტყვის გატეხვა არ არის მსგავს სიტუაციებში სისხლის სამართლის განხილვის საგანი.

საინტერესოა ისიც, რომ სისხლის სამართალი ცალკეულ შემთხვევებში რეალურად ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირსაც კი დანაშაულად აცხა-

დებს. ეს ხდება მაშინ, თუ ერთი პირი სრულწლოვანია (ანუ 18 წელს მიღწეულია), ხოლო მეორე პირი 16 წლამდე ასაკისაა. 16 წლამდე ასაკის პირების ნორმალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე სრულწლოვანი პირი დაისჯება (მუხ. 140).³² თუ ორივე პირი არასრულწლოვანია, მაშინ ვერცერთს ვერ დავსჯით.

გიორგის თეკლე მოსწონდა და ცოლად შერთვის მიზნით ის მოიტაცა. თეკლე ამის წინააღმდეგი იყო. გიორგიმ იფიქრა, მასთან იძულებით სქესობრივ კავშირს დავამყარებ და მერე იქნებ დამთანხმდესო. მან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

გიორგიმ თავისი ქმედებით ორი დანაშაული ჩაიდინა – თავისუფლების უკანონო აღკვეთა და გაუპატიურება. სისხლის სამართლისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რატომ გაიტაცა მან ადამიანი. მთავარია თვითონ თეკლეს ნება, რაც არ იქნა გათვალისწინებული. ამიტომ, გიორგის ორი დანაშაულისთვის მოუწევს პასუხისგება. გატაცების დროს ძმაცაცების დახმარება კიდევ უფრო დაამძიმებდა სასჯელს, ვინაიდან ეს ჯგუფურ დანაშაულად ჩაითვლებოდა.

სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ დანაშაულებსაც, რომლის ფარგლებშიც ჩვენ შეიძლება ხშირად შევხვდეთ საკუთრების ხელყოფის შეთხვევებს. ქურ-

32 ჯიშკარიანი, ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 179, აბზ. 635.

დობა, ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალვა, თაღლითობა და ა.შ. სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება. ისინი მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ განსხვავება ჩადენის ფორმებშია, რაც განსხვავებულ დასჯადობასაც იწვევს. ქურდობა ფარულად ჩადენილი დანაშაულია (მაგ. ჯიბიდან საფულის მოპარვა), ძარცვა კი აშკარა ხასიათს ატარებს (საფულის ხელიდან გატაცება), ყაჩაღობა კი ძალადობის ისეთ ფორმებთან არის დაკავშირებული, რაც ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ამიტომ ის უფრო მკაცრად ისჯება.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვა ბევრს საკითხსაც ეხება, იქნება ეს სამოხელეო დანაშაულები (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და სხვა), ნარკოტიკული დანაშაულები, ტერორიზმი, გარემოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებები თუ სხვა, მაგრამ მათი განხილვა შორს წაგვიყვანს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული სისხლის სამართლით დასჯადია დანაშაულის მომზადება და მცდელობა. ესენია ე.წ. დაუმთავრებელი დანაშაულები, რა დროსაც პირს ვერ მიჰყავს ბოლომდე მის მიერ დაწყებული ქმედება.³³ მაგალითად, თუ პირმა ვინმეს მოკვლა გადაწყვიტა და ამ მიზნით იარაღი შეიძინა, ეს ჩაითვლება მკვლელობის მომზადებად, ხოლო, თუ მერე

33 დანვრ. იხ. ხარანაული, ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 2014, 34 და შემდეგი. ასევე მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011, 21 და შემდეგი.

პოტენციურ მსხვერპლს ესროლა, მაგრამ ის გადარჩა, ეს ჩაითვლება დანაშაულის მცდელობად.

3. სისხლის სამართლის პროცესი

3.1. მხარეები სისხლის სამართალში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ზოგადი მაგალითის სახით მთელი ეს პროცესი? რა ხდება დანაშაულის ჩადენის მომენტიდან განაჩენის გამოტანამდე პერიოდში?

ავიღოთ მარტივი შემთხვევა - სანდრომ იარაღის მუქარით ქუჩაში საფულე წაართვა მარის. ეს არის ყაჩაღობა, მაგრამ დამნაშავის დასჯისათვის საჭიროა მთელი რიგი პროცესუალური ღონისძიებების გატარება, სხვა შემთხვევაში კანონის მოთხოვნები დაირღვევა. პირველ რიგში უნდა შევიდეს ინფორმაცია პოლიციაში, რომელიც მოახდენს რეაგირებას და განახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს (გამოკითხავს დაზარალებულს, იქვე მყოფ სხვა პირებს და ა.შ.). ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. რამე კონკრეტულ ფორმას ქართული კანონმდებლობა არ მოითხოვს (შეად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მუხ. 101).³⁴ მთლიანად გამოძიების პროცესს

34 შეად. ლალიაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015, 46.

ზედამხედველობას გაუწევს პროკურორი, რომელიც მოახდენს მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე საქმის კვალიფიკაციას და მის სასამართლოში გადაგზავნას. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები სასამართლოში არ დაიშვება და ეს გაართულებს დამნაშავეს დასჯას. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მუქარის საფუძველზე მიღებული ჩვენება ან „ჩადებული“ იარაღი.

ამ კაზუსიდან იკვეთება პროცესში მონაწილე შემდეგი პერსონაჟები: ბრალდებული სანდრო, რომელიც სასამართლოში თავს დაიცავს თავისი ადვოკატის მეშვეობით, ბრალმდებელი პროკურორი და დაზარალებული მარი. ხოლო ნეიტრალურ ინსტანციად გვევლინება სასამართლო, რომლის წინაშეც წარიმართება მთლიანი პროცესი და იქ გადანყდება თავდამსხმელის დანაშაულობა-უდანაშაულობის საკითხი. ვერც პოლიცია და ვერც პროკურატურა სასამართლოს გარეშე ვერ მიიღებს გადანყვეტილებას იმის თაობაზე, რომ სანდრო ნამდვილად ყაჩაღია. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გარეშე ნებისმიერი პირი ითვლება უდანაშაულოდ (უდანაშაულობის პრეზუმფცია).

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არის პირდაპირ განერილი (მუხ. 6). სასამართლოს მიერ საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე როგორც სამართალდამცავმა ორგანოებმა, ასევე

სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი შეფასებებისგან, რომელიც პირს წინასწარ დამნაშავედ აცხადებს.³⁵ მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ბრალდებული შესაძლოა სასამართლომ გაამართლოს.³⁶ აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს კონსტიტუციის შიგ (მუხ. 40).³⁷ კონსტიტუციის მიხედვით არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე სანდროს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე ვერ ვუწოდებთ ყაჩაღს. მას, მართალია, პროკურორი ბრალს წაუყენებს ყაჩაღობის მუხლით (სსკ მუხ. 179), მაგრამ ეს ჯერ კიდევ დამტკიცებულ დანაშაულს არ ნიშნავს. სანდროს შეუძლია თავისი ადვოკატის მეშვეობით მოიპოვის მისთვის სასარგებლო მტკიცებულებები და წარადგინოს სასამართლოში, რითაც ის თავის გამართლებას შეეცდება. ქართული კანონმდებლობა მას აძლევს იმის უფლებასაც კი, რომ არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ (სსსკ მუხ. 15).³⁸ ის არ არის ვალდებული ითანამშრომლოს გამოძიებასთან; შეუძ-

35 Valerius, კომენტარებში: Graf, BeckOK StPO mit RiStBV und MiStra, 28. Edition, Rn. 32.

36 იქვე.

37 შეად. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 80.

38 დაწვრ. იხ. იქვე, 127.

ლია ისარგებლოს დუმილის უფლებით და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას ისე გაგებული, რომ ის დამნაშავეა (სსსკ მუხ. 38 ნან. 4).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე თავი მთლიანად ბრალდებულის უფლებებს ეხება. მას აქვს ადვოკატის არჩევის უფლება, რომელსაც ნებისმიერ დროს შეცვლის სურვილის შემთხვევაში. თუ ის უქონელია, მას დაენიშნება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია და დაუშვებელია მასში ჩარევა, ფარული მიყურადება, მიმონერის გახსნა და ა.შ. ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებას სასამართლოს წინაშე მაინც არ ექნება იურიდიული ძალა და ბრალდების მხარე ბრალდებულის საწინააღმდეგოდ მას მაინც ვერ გამოიყენებს.

ადვოკატს არ აქვს უფლება თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს. რაც არ უნდა უფრო გონივრული იყოს მის მიერ განსახორციელებელი რამე ქმედება, თუ ამას ბრალდებული, ანუ მისი კლიენტი არ ეთანხმება მისი ინტერესების დაზიანების საფრთხიდან გამომდინარე, ის ვერ იმოქმედებს. დამცველს ევალება ბრალდებულის ინტერესების დაცვა და მის სასიკეთოდ მოქმედება, ანუ ის არ არის ვალდებული საქმესთან დაკავშირებით იყოს ობიექტური.³⁹ ეს ლოგიკურიცაა და არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ის მხარეა და ნებისმიერი მხარე თავის სასარგებლოდ

39 ლალიაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015, 169.

მოქმედებს კანონის ფარგლებში.

ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები. ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ გამოძიებას სახელმწიფო ორგანოების გარდა სხვებიც ატარებენ, მაგრამ ეს არის სისხლის სამართალში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის არსი: როგორც ბრალდების მხარეს, ანუ პროკურორს შეუძლია საგამოძიებო ორგანოების მეშვეობით ამტკიცოს, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი დამნაშავეა, ასევე შეუძლია თავის დაცვა მეორე მხარესაც საკუთარი გამოძიებით თუნდაც ადვოკატის დახმარებით. თითოეული მხარე უფლებამოსილია მისი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები წარმოადგინოს ან თავის სასარგებლოდ განმარტოს კანონი.⁴⁰ ეს, ამავდროულად, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მათ მტკიცებულებების გაყალბების უფლება აქვთ.

არ უნდა დაგვაზინყდეს ისიც, რომ კანონმდებლობა ბრალდებისა და დაცვის მხარეს ავალდებულებს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე ერთმანეთს გაუცვალონ მოპოვებული მტკიცებულებები.

ჩვენს ზემოთმოყვანილ კაზუსში გვყავდა ყაჩაღობის მსხვერპლი მარი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე დაზარალებულია. რა უფლებებით სარგებლობს დაზარალებუ-

40 იქვე, 121.

ლი? დაზარალებული ოფიციალურად პროცესის მხარეს არ წარმოადგენს და შესაბამისად ბევრი უფლებითაც არ სარგებლობს. მის ინტერესებს წარმოადგენს პროკურორი. ის ცდილობს სასამართლოს წინაშე, რომ თავდამსხმელი სათანადოდ დაისაჯოს. ცალკე თავისი ადვოკატით დაზარალებული პროცესში ვერ ჩაერთვება. მას უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, სასამართლო პროცესების ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე და ა.შ. (სსსკ მუხ 57-58). დანაშაულის ჩადენის შემდეგ რაც არ უნდა არ სურდეს დაზარალებულს დამნაშავის დასჯა სხვადასხვა პირადი მოტივებიდან გამომდინარე (მაგ. ფული აჩუქეს და არ ჩივის), ეს საქმეზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს და დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მაინც დადგება.

მოკლედ შევეხოთ სისხლის სამართლის პროცესის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფიგურას, სახელმწიფო ბრალმძებელს. პროკურატურა არის ერთადერთი ორგანო, რომელიც პროკურორების სახით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც პირველ რიგში გულისხმობს გამოძიების წარმართვასა და ხელმძღვანელობას, მეორე ეტაპზე კი სასამართლოში ბრალმძებლის როლში გამოსვლას.⁴¹ პროკურორი თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოს და არა დაზარალებულის სახელით (სსსკ მუხ. 33 ნაწ. 1). ის თავის საქმიანო-

41 თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 104.

ბაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. თუ გამოძიების შედეგად პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ დანაშაული არ ყოფილა ჩადენილი, მაშინ ის იღებს გადაწყვეტილებას სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე (სსკ მუხ. 33, ნაწ. 6. ქვეპ. „ზ“).

გამოძიების პროცესში პროკურორის მითითებებს ასრულებს გამომძიებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროკურორი პირადად ახორციელებს გამოძიებას. პრაქტიკაში, როგორც წესი, ეს უფრო იშვიათად ხდება, ამიტომ მას სხვადასხვა უწყებების გამომძიებლები ექვემდებარებიან, იქნება ეს შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის სამინისტროების თუ სხვა უწყებების გამომძიებლები. საბოლოო ჯამში არ აქვს მნიშვნელობა, რომელი უწყების გამომძიებელი იძიებს საქმეს. პროკურატურა ერთია და ყველა გამომძიებელი მის მითითებებს ექვემდებარება.

3.2. სასამართლო

სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე (სსკ მუხ. 19).

სასამართლოების მიერ საქმის განხილვის უფლება წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტას ნეიტრალური ხელისუფლების მიერ.⁴² დამოუკიდებელი სასამართლოების გარეშე წარმოუდგენელია კანონის უზენაესობა და სამართლის ეფექტური მოქმედება.⁴³

ქართული საერთო სასამართლოების სისტემა სამ ინსტანციას ეყრდნობა: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო. პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის მიერ შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო წესით მეორე ინსტანციის სასამართლოში, ხოლო, თუ ეს შედეგიც არ იქნება მათთვის მისაღები, მიმართავენ უზენაეს სასამართლოს. ზემდგომ ინსტანციას უფლება აქვს გააუქმოს, შეცვალოს ან ძალაში დატოვოს წინა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საინტერესოა ბრალდებულისთვის გათვალისწინებული ის შეღავათი, რომ თუ ის გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ზემდგომი ინსტანცია მისთვის საუარესოდ ვერ შეცვლის საქმეს. დავუშვათ, ის გაასამართლეს ქურდობისთვის და მან მიმართა სააპელაციო სასამართლოს, ვინაიდან თვლის, რომ არ იყო დამნაშავე. სააპელაციო სასამართლომ რომც ჩათვალოს, რომ მას ქურდობის კი არა, უფრო მძიმე დანაშაუ-

42 ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, 67.

43 იქვე.

ლისთვის, ყაჩაღობისთვის უნდა ეგო პასუხი, დამამძიმებელ გადაწყვეტილებას მაინც ვერ მიიღებს (სურათი იცვლება, თუ პროკურორი ასაჩივრებს წინა ინსტანციის გადაწყვეტილებას).

როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე სასამართლოს წინაშე მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი. მოსამართლე პროცესზე გვევლინება პასიურ როლში და გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მას არ აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს რომელიმე მტკიცებულების საქმეში ჩამატება, არ შეუძლია მიანიშნოს პროკურორს ან ადვოკატს იმაზე, რომ, დავუშვათ, კარგი იქნებოდა სხვა მასალების წარმოდგენაც და ა.შ.⁴⁴ მოსამართლის პასიური როლი ნეიტრალურობის მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარეობს, რომ როგორც პროკურორი, ასევე ბრალდებული და მისი ადვოკატი მაქსიმალურად მობილიზებულები უნდა იყვნენ პროცესზე, რათა რამე საქმისთვის მნიშვნელოვანი მომენტი არ გამოჩნდეს სასამართლოსთვის წარსადგენად. მოსამართლე მათ არაფერზე არ მიანიშნებს.

სასამართლო პროცესები საქართველოში საჯაროა და გარკვეული გამონაკლისების გარდა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია მას დაესწროს. თუმცა, დასწრების უფლება არ ნიშნავს იმას, რომ რამე ფორმით დასაშვებია პროცესისთვის ხელის შეშლა, მოსამართლის ან სხვა მხარის მიმართ რეპლიკების

44 შეად. ლალიაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015, 121.

გაკეთება და სხვა. დასწრების უფლება უბრალოდ სასამართლოს ღიაობის გამოხატულებაა, რათა საზოგადოებამ გარკვეულწილად შეძლოს მისი საქმიანობის ამ ფორმით გაკონტროლება.

საქართველოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა შესაძლებელია ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობითაც. ასეთი სასამართლო იმართება თორმეტი ნაფიცი მსაჯულისა და ერთი თავმჯდომარე მოსამართლის მონაწილეობით. საქართველოში ამ სისტემის შემოღების მიზანი იყო საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.⁴⁵ ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან შემთხვევითობის პრინციპით 18 წელს მიღწეული მოქალაქეთა ერთიანი სიიდან (სსსკ მუხ. 221). შესაბამისად, ნაფიცი მსაჯული, შესაძლებელია ნებისმიერი ჩვენგანი იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უარის საპატიო მიზეზი (ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზღვარგარეთ ყოფნა და სხვა).

ნაფიცი მსაჯულების შერჩევისა და სასამართლო განხილვების დაწყების შემდეგ მსაჯულებს მთელი რიგი შეზღუდვები უნესდებათ, მაგ. მათ არ აქვთ უფლება თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება გასცენ, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა იურთიერთონ სხვა პირებთან და ა.შ. (სსსკ მუხ. 236).

ისეთ სასამართლო პროცესებში, რომლებშიც

45 დანვრ. იხ. თუმანიშვილი, გ., გოგინაშვილი, ნ., კრებულში: ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2013, 20 და შემდეგი.

ჩართულები არიან მსაჯულები, პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის შესახებ გადანყვეტილებას იღებენ სწორედ ისინი, ანუ მოსამართლის როლი ამ შემთხვევაში შედარებით უფრო ნაკლებია და ის მხოლოდ სასჯელის ზომის დანიშვნით შემოიფარგლება.

ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით უამრავი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. მათ აქ დეტალურად არ განვიხილავთ, მაგრამ ძირითადად ერთნი მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი არიან არაპროფესიონალები/არაიურისტები და უფრო ემოციურ ფონზე იღებენ გადანყვეტილებას, ხოლო მომხრეები პროცესებში საზოგადოების ჩართულობის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას.

4. სასჯელი, როგორც რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე

4.1. სასჯელის მიზნები

სისხლის სამართალი მთლიანად აზრს მოკლებული იქნებოდა ეფექტურობის თვალსაზრისით, თუ მასში არ იქნებოდა თითოეული დანაშაულისთვის გათვალისწინებული შესაბამისი სიმძიმის სასჯელი.⁴⁶ საზოგადოებრივი განვითარების დონე ზოგადად არ არის ისეთი მაღალი, რომ ჩვენ შევძლოთ

⁴⁶ დვალაძე, ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგი, თბილისი, 2013, 15.

სასჯელებზე უარის თქმა და მხოლოდ თითოეული ინდივიდის კეთილგონიერებას დავეყრდნობთ. ამიტომ, სისხლის სამართალში, იქნება ეს საქართველოში თუ სხვაგან, გათვალისწინებულია პასუხისგების სხვადასხვა ფორმები⁴⁷.

სამართლის ამ დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება სხვა დარგებისგან სწორედ სასჯელებში მდგომარეობს. ისინი თავიანთი სიმძიმით და პირზე ზემოქმედების ხარისხით სრულიად განსხვავდებიან სამოქალაქო სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ სამართლებრივი ბერკეტებისგან. ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელის მიზანი არ არის მხოლოდ სამაგიეროს მიზღვა და უბრალოდ დასჯა დასჯისთვის. თანამედროვე ლიბერალური სამართალი მსგავს მიდგომებს უკვე კარგა ხანია გასცდა. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია (გამოსწორება). მისი მიზანი არ არის ადამიანის ტანჯვა ან ღირსების დამცირება (სსკ მუხ. 39).

აქედან გამომდინარეობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიც, რაც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, შეარჩიოს ისეთი სასჯელი, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოხატავს დანაშაულის ბუნებას, მისი ჩადენის გარემოებებს

და დამნაშავის პიროვნებას (მაგ. დანაშაულის შემდეგ 47 დანვრ. იხ. ვარძელაშვილი, ს., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, 32 და შემდეგი).

გომი ქცევა).⁴⁸ ინდივიდუალიზაციის პრინციპი გამსჭვალულია გარკვეულწილად პედაგოგიური სულისკვეთებით, რაც გულისხმობ იმას, რომ როგორც აღზრდის პრობლემა ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ისე სისხლის სამართალშიც პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.⁴⁹ სისხლის სამართლის კოდექსში არ გვხვდება ხისტად დადგენილი სასჯელეზი. კერძო ნაწილის მუხლებში მითითებულია სასჯელის სხვადასხვა სახე ან ზედა და ქვედა ზღვარი, რომლის ფარგლებში მოსამართლე თვითონ წყვეტს, რა უფრო შეესაბამება კონკრეტულ პირს. მაგალითად, სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახი მკვლელობა ისჯება 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ერთ პირს შეიძლება სასამართლომ 12 წლიანი პასუხისმგებლობა დააკისროს, მეორე პირს კი მხოლოდ 9 წელი, ვინაიდან ის ჩადენილ ქმედებას ინანიებდა, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, გარდაცვლილის ოჯახის წევრებს მოუბოდიშა და ა.შ. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოს აზრით, ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას (სსკ მუხ. 53, ნაწ. 1), ანუ დამნაშავეს მეტი დრო სჭირდება გამოსწორებისთვის.

48 ნაჭყებია, გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 99.

49 იქვე, 100.

4.2. სასჯელის სახეები

სასჯელის სახეები სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლშია ჩამოთვლილი. ესენია: ჯარიმა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა და ასე შემდეგ. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ჯარიმა ერთ-ერთი ყველა გავრცელებული სასჯელის სახეა. ფულადი სახით ინიშნება მინიმუმ 2000 ლარის ოდენობით, ხოლო მაქსიმუმ არ არის დადგენილი და სასამართლოს შეხედულებისამებრ ინიშნება. თუ საქმე ეხება ისეთ ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელის სახით 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ჯარიმის მინიმუმი 500 ლარამდე ჩამოდის.⁵⁰ ჯარიმის გადაუხდელობისას დამნაშავეს სხვა სასჯელი დაენიშნება (მაგ. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) და მისთვის თავის არიდების შემთხვევაში საბოლოოდ ეს გადაიზრდება თავისუფლების აღკვეთაში.⁵¹

თავისუფლების აღკვეთა არსებობს როგორც ვადიანი, ასევე უვადო. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 6 თვიდან 20 წლამდე ვადით (სსკ მუხ. 50 ნაწ. 2). სასჯელის ეს სახე მთლიანად ან ნაწილობრივ დამნაშავეს შეიძლება შეეცვალოს პირობი-

50 დანვრ. იხ. ივანიძე, მ., სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, გ., თოდუა, ნ. (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, 493 და შემდეგი.

51 დანვრ. იხ. დვალიძე, ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 44 და შემდეგი.

თი მსჯავრის სახით, ანუ ის სასჯელს არ მოიხდის სასჯელალსრულების დაწესებულებაში (სსკ მუხ. 63 და შემდეგი). ამ დროს პირს ენიშნება გამოსაცდელი ვადა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულს სასამართლო უცხადებს გარკვეულ ნდობას და მის მიმართ არ აღსრულდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.⁵² ამ პერიოდის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევას აკონტროლებს პრობაციის ბიურო და თუ ის სისტემატურად ან ჯიუტად არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს (მაგ. ბოუროს ნებართვის გარეშე შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს), სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს პირობითი მსჯავრი და დამნაშავეს სასჯელი რეალურად მოახდევინოს (სსკ მუ. 67 ნაწ. 3).

რაც შეეხება უვადო თავისუფლების აღკვეთას, ის მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს ენიშნება (სსკ მუხ. 51). მისი მნიშვნელობა სიტყვასიტყვით ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს, ასეთი სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში პირი სამუდამოდ იქნება გამოკეტილი ციხეში. მსჯავრდებული თუ 20 წელს მოიხდის და საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის სასჯელის მოხდის გაგრძელება, ის გათავისუფლდება (სსკ მუხ. 72 ნაწ. 7).

საინტერესოა ისიც, რომ ჰუმანურობისა და

52 იქვე, 127.

კაცთმოყვარეობის პრინციპიდან გამომდინარე საქართველოში 1997 წლიდან სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებსაც პასუხობს.⁵³

ქართულ სისხლის სამართალში სიახლეა შინა-პატიმრობის ინსტიტუტის შემოღება, რაც მსჯავრდებულისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას გულისხმობს (სსკ მუხ. 47¹). ამ დროს მისი გაკონტროლება მოხდება, როგორც წესი, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების (სამაჯურის) ან პასუხისმგებელი პირის მოულოდნელი ვიზიტების მეშვეობით.⁵⁴

4.3. სასჯელის აღსრულება

სისხლისსამართლებრივი სასჯელების აღსრულებაზე, იქნება ეს საპატიმრო/თავისუფლების აღკვეთის თუ არასაპატიმრო სასჯელები, პასუხისმგებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი ამ სფეროში არის პატიმრობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის უშუალოდ აღმასრულებელი ორგანო არის პენიტენციური დანესებულება. პენი-

53 ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2013, 357.

54 <<http://www.moc.gov.ge/ka/arasapatimro-sasjelebi>> (ნანახია 5.2.2018).

ტენციური დაწესებულების ფარგლებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დაყოფილია, მაგალითად, დაბალი რისკის ან მაღალი რისკის კატეგორიებად (მუხ. 10). ეს დაყოფა ხდება იმისა და მიხედვით, თუ რა სიმძიმის დანაშაულები აქვთ ჩადენილი იქ მოთავსებულ პირებს და მეთვალყურეობის რა ხარისხს საჭიროებენ. მსჯავრდებულების სრული იზოლაცია დაუშვებელია. სათანადო პროცედურების გავლის შემთხვევაში შესაძლებელია მიმონერა, პაემნებით სარგებლობის უფლება და სხვა.

რაც შეეხება გათავისუფლებას, ის ხდება სასჯელის ვადის ამონურვის, მისი შემცირების, ამნისტიის ან სხვა შემთხვევებში (მუხ. 37). მსჯავრდებულს გათავისუფლებისას უბრუნდება ყველა პირადი ნივთი. თუ მას არ აქვს ტანსაცმელი/ფეხსაცმელი ან ისინი სეზონისთვის შეუსაბამოა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მას უსასყიდლოდ გადასცეს სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (მუხ. 38).

არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებასა და კონტროლზე პასუხისმგებელია პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელზეც ნაწილობრივ წინა ქვეთავშიც ვისაუბრებთ, ამიტომ აქ მასზე დეტალურად აღარ შევჩერდებით.

5. შეჯამება

სისხლის სამართალი, როგორც ვხედავთ, კომპლექსური მიმართულებაა, რომლის შინაარსიც საშუალოსტატისტიკური, არაიურისტი მოქალაქის წარმოდგენებისგან ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება, იქნება ეს დანაშაულის სახეების თუ სასჯელების ნაწილში. ეს, ზოგადად, თვითონ სამართლის სპეციფიკით არის განპირობებული, ვინაიდან ის ბევრ საკითხში არ ემყარება საზოგადოების უმრავლესობაში გაბატონებულ (დროებით) ღირებულებებს და სხვა ფუნდამენტურ საკითხებზე კონცენტრირდება, იქნება ეს თანასწორობის, პირადი თავისუფლების თუ სხვა სხვა პრინციპები. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში ის საზოგადოებრივი განვითარების, საერთო მართლშეგნების ნაყოფია და მისი განუყოფელი ნაწილია.

ავტორის შესახებ

ბაჩანა ჯიშკარიანმა 2007 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2008-2009 წლებში გაიარა სამაგისტრო კურსი გერმანული სამართლის საფუძვლებში მიუნხენის უნივერსიტეტში, 2012 წელს კი იქვე მოიპოვა სამართლის დოქტორის ხარისხი გერმანული სისხლის სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის კათედრაზე. სხვადასხვა დროს იყო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, რუსთაველის, ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდებისა და მაქს-პლანკის საზოგადოების სტიპენდიანტი. მუშაობდა იურიდიულ ფირმა Becker Büttner Held München-ში და ასევე ხელმძღვანელობდა სასემინარო ჯგუფებს მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამჟამად არის საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი და სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, ასევე, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დამფუძნებელი. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მათ შორის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები და სახელმძღვანელოები ქართული, საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის თემატიკაზე.

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის შესახებ

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი დაარსდა 2015 წლის ნოემბერში საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბაზაზე. მის საქმიანობაში ჩართულია როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები დოქტორანტების ჩათვლით და პრაქტიკოსი იურისტები.

ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს სისხლის-სამართლებრივი დოგმატიკისა და პრაქტიკის განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ წმინდა თეორიული კვლევებით, არამედ სათანადო ყურადღება ეთმობა მატერიალურ თუ ფორმალურ სისხლის სამართალში გადასაჭრელ პრაქტიკულ პრობლემებს.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართალი წარმოუდგენელია საერთაშორისო გავლენების გარეშე. უკვე ათეული წლებია, მასზე გავლენას ახდენს გერმანული სისხლის სამართალი, ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, მათ შორის შედარებითსამართლებრივი კუთხით.

ბოლო პერიოდში გერმანულ სისხლის სამართალთან ერთად მნიშვნელობა შეიძინა სხვა საერთაშორისო ფაქტორებმაც, იქნება ეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ევროსაბჭოს თუ ევროკავშირის სტანდარტების სახით. მათი გავლენების შესაბამისი გაანალიზების გარეშე ქართული სისხლის სამართლის განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელი და აზრს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსტიტუტის მიზანია ქართულ, გერმანულ და საერთაშორისო სისხლის სამართალს შორის არსებული ურთიერთმიმართების სიღრმისეული კვლევის განხორციელება და საერთაშორისო სტანდარტებთან ნაციონალური კანონმდებლობის დაახლოვების ხელშეწყობა.

ინსტიტუტის ელექტრონული მისამართია:
www.icl.ug.edu.ge

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
მ.კოსტავას 77ა
0171, თბილისი

